

საქართველოს კულტურის,  
ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის  
ბრძანება

2007 წ. 23 აპრილი

№ 3/85

ქ. თბილისი

ქ. სიღნაღში არსებული კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ნაგებობებისა და ცალკეული ქუჩის, ასევე ქალაქის ისტორიული ნაწილის ქუჩათა ქსელისათვის კულტურის უძრავი ძეგლის (ქალაქმშენებლობითი ძეგლის) სტატუსის მინიჭების თაობაზე.

საქართველოს უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის გ) ქვეპუნქტის, მე-16 და მე-18 მუხლების საფუძველზე და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე, 56-ე, 61-ე და 95-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში და მიენიჭოს კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი №1 დანართში მითითებულ ობიექტებს.
2. ც. დადიანის ქუჩა №2 დანართში მითითებულ ფარგლებში შეტანილ იქნეს უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში და მიენიჭოს კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი.
3. ქ. სიღნაღის ისტორიული ნაწილის ქუჩათა, ქსელი მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების გარეშე, №3 დანართში მითითებულ ფარგლებში, შეტანილ იქნეს უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში და მიენიჭოს კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი.
4. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიას, უმოკლეს ვადაში წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნები აღნიშნული ობიექტებისათვის (ძეგლებისათვის) კატეგორიის მინიჭების თაობაზე.
5. „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ინფორმაციის შეტყობინებისა და მითითებული ობიექტებისათვის (ძეგლებისათვის) კატეგორიის მინიჭების მიზნით, ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს ადგილობრივი მმართველობის შესაბამის ორგანოებს. ეთხოვით მათ წარმოადგინონ მოსაზრება ძეგლებისათვის კატეგორიის განსაზღვრის თაობაზე.
6. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტს მოამზადოს დანართებში ჩამოთვლილი ობიექტებისათვის (კულტურის უძრავი ძეგლისათვის) „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და „უძრავი ძეგლების დოკუმენტაციის ფორმის, მათი შევსების, დამტკიცებისა და გამოყენების წესების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის მინისტრის 2003 წლის 22 ივლისის ბრძანებით გათვალისწინებული სააღრიცხვო დოკუმტაცია.
7. ბრძანება გამოქვეყნდეს, საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“.
8. დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნებისათვის საჭირო თანხის გამოყოფა.

9. კონტროლი ბრძნების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს ნიკოლოზ ვახეიშვილს.

10. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი დავით სარაჯიშვილის ქუჩა №1<sup>ა</sup>)

მინისტრი

გ. გაბაშვილი

საქართველოს კულტურის,  
 ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის  
 2007 წლის 23 აპრილის № 3/85 ბრძანების  
 დანართი №1

ქ. სიღნაღი

| რიგითი № | ძეგლის მდებარეობა      | ძეგლის დასახელება  |
|----------|------------------------|--|
| 1.       | 9 აპრილის ქ. №5        | საცხოვრებელი სახლი   |
| 2.       | 9 აპრილის ქ. №4-6      | საცხოვრებელი სახლი   |
| 3.       | 9 აპრილის ქ. №20       | საცხოვრებელი სახლი   |
| 4.       | 9 აპრილის ქ. №28       | საცხოვრებელი სახლი   |
| 5.       | ბარათაშვილის ქ. №17    | საცხოვრებელი სახლი   |
| 6.       | ბარათაშვილის ქ. №19    | საცხოვრებელი სახლი   |
| 7.       | ბარათაშვილის ქ. №41    | საცხოვრებელი სახლი   |
| 8.       | ბარათაშვილის I ჩიხი №8 | საცხოვრებელი სახლი   |
| 9.       | რუსთაველის ქ. №2       | საზოგადოებრივი შენობა  |
| 10.      | რუსთაველის ქ. №10      | საცხოვრებელი სახლი   |
| 11.      | რუსთაველის ქ. №23      | საცხოვრებელი სახლი   |
| 12.      | რუსთაველის ქ. №25      | საცხოვრებელი სახლი   |
| 13.      | რუსთაველის ჩიხი №8     | საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი |
| 14.      | თამარ მეფის ქ. №2      | საზოგადოებრივი შენობა  |
| 15.      | თამარ მეფის ქ. №7      | საცხოვრებელი სახლი   |
| 16.      | თამარ მეფის ქ. №8      | საცხოვრებელი სახლი   |
| 17.      | თამარ მეფის ქ. №16-18  | საცხოვრებელი სახლი „ფიროსმანის სახლი“                                |
| 18.      | გორგასლის ქ. №1        | საცხოვრებელი სახლი   |
| 19.      | გორგასლის ქ. №2        | საცხოვრებელი სახლი   |
| 20.      | გორგასლის ქ. №3        | საცხოვრებელი სახლი   |
| 21.      | გორგასლის ქ. №8        | საცხოვრებელი სახლი   |

|     |                     |                    |
|-----|---------------------|--------------------|
| 22. | კოსტავას ქ. №6      | საცხოვრებელი სახლი |
| 23. | სარაჯიშვილის ქ. №12 | საცხოვრებელი სახლი |
| 24. | ევლოშვილის ქ. №10   | საცხოვრებელი სახლი |
| 25. | ევლოშვილის ქ. №23   | საცხოვრებელი სახლი |
| 26. | ერეკლე II-ს ქ. №1   | საცხოვრებელი სახლი |
| 27. | ერეკლე II-ს ქ. №34  | საცხოვრებელი სახლი |
| 28. | ფიროსმანის ქ. №10   | საცხოვრებელი სახლი |
| 29. | ფიროსმანის ქ. №14   | საცხოვრებელი სახლი |

საქართველოს კულტურის,  
ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის  
2007 წლის 23 აპრილის № 3/85 ბრძანების  
დანართი №2

**ქ. სიღნაღი**

ც. დადიანის ქუჩა №1-დან №9-ის ჩათვლით (ი. სარაჯიშვილის ქუჩის გადაკვეთამდე)

საქართველოს კულტურის,  
ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის  
2007 წლის 23 აპრილის № 3/85 ბრძანების  
დანართი №3

**ქ. სიღნაღის ქუჩათა ქსელი:**

არსენას ქ. №1-დან №15-ის ჩათვლით  
ილ. ჭავჭავაძის ქ. №2-დან №38-ის ჩათვლით  
ილ. ჭავჭავაძის I ჩიხი  
ფიროსმანის ქ. №2-დან №22-ის ჩათვლით  
სარაჯიშვილის ქ. №1-დან ვაჟა-ფშაველას ქუჩის გადაკვეთამდე  
სარაჯიშვილის შეს.  
ნ. ბარათაშვილის ქ. №1-დან №48-ის ჩათვლით  
ბეჟანიშვილის ქ.  
ერეკლე II ქ. №1-დან №34-ის ჩათვლით  
რუსთაველის ქ. №2-დან №28-ის ჩათვლით  
რუსთაველის შეს.  
9 აპრილის ქ. №1-დან №34-ის ჩათვლით  
9 აპრილის I შეს.  
ევლოშვილის ქ. №2-დან №23-ის ჩათვლით  
ევლოშვილის შეს.  
ვასტანგ გორგასლის ქ. №2-დან №22-ის ჩათვლით  
თამარ მეფის ქ. №3-დან №26-ის ჩათვლით  
თამარ მეფის I შეს.  
დავით აღმაშენებლის ქ.  
მ. კოსტავას ქ.  
ც. დადიანის ქ.  
ლოლაშვილის ქ.  
მოსაშვილის ქ. №2-დან №18-ის ჩათვლით  
მოსაშვილის I შეს.  
ქეთევან წამებულის ქ. №2-დან №8-ის ჩათვლით  
გიორგი ბრწყინვალის ქ. №1-დან ქეთევან წამებულის ქუჩის გადაკვეთამდე  
გრაჯის მოედანი  
დოდაშვილის მოედანი  
დავით აღმაშენებლის მოედანი